ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა (პერიმეტრი)
(ტექნიკური საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის პირობებით)
№20021/01

ქ. თბილისი ”02”დეკემბერი 2020წ.

ერთი მხრივ, **სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი** (შემდგომში - დამკვეთი), წარმოდგენილი დირექტორის **გურამ ბოკუჩავას** სახით და მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში - დაცვა), წარმოდგენილი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის **ზვიად ქველაძის** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ”დაცვის” მიერ მხარეთა შორის გაფორმებული მოკვლევის აქტის (შემდგომში - დანართი N2) საფუძველზე, ,,დამკვეთის'' ინსტიტუტის (შემდგომში - ობიექტი) პერიმეტრული სიგნალიზაციით დაცვა, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მინდელის ქ. N7, შენობა N3;

1.2. ,,ობიექტის“ დაცვა განხორციელდება ,,დამკვეთის“ მიერ ,,ობიექტის“ დაცვის ცენტრალიზებულ პულტზე (შემდგომში-პულტი) ჩაბარებისა და ,,დაცვის“ მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.3. ,,ობიექტის” დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველო.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1 2.1. დაცვის მომსახურების ღირებულება თვეში შეადგენს 161,00 (ასსამოცდაერთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით (მათ შორის ერთი გასაღების ღირებულება შეადგენს 151,00 ლარს, ხოლო ტექნიკური საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ღირებულება 10,00 ლარი), რომელიც გადახდილ უნდა იქნას ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ,,დაცვის'' საბანკო რეკვიზიტებზე;

2.2. ამ მუხლის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული დაცვის მომსახურების ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

2.3. ,,დაცვის“ მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ქ. თბილისის მთავარი სამმართველო.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 ,,დაცვა” ვალდებულია:

3.1.1 ,,პულტზე“ სიგნალ ,,განგაშის“ (შემდგომში - განგაში) მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს ,,ობიექტზე” გამოცხადება და აუცილებლობის შემთხვევაში ,,პოლიციის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, ,,ობიექტზე” მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ”დამკვეთს” და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

3.1.2 ,,დამკვეთს'' ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საფუძველზე. ზიანის ანაზღაურება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ „დაცვის“ მიერ დარღვეულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

3.1.3 ,,დამკვეთს'' ფაქტიური ზარალი აუნაზღაუროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

3.1.4 ,,განგაშის” მიღებისას, ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაში ასაყვანად, გამოიძახოს ,,დამკვეთი” ან ,,ობიექტის'' მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი;

3.1.5 თუ ,,დაცვისგან” დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ ხერხდება ,,ობიქტის“ დაცვაში აყვანა, არ მიიღოს ,,ობიექტი” დაცვაში და აღნიშნულის თაობაზე აცნობს ,,დამკვეთს“.

3.2 ,,დამკვეთი” ვალდებულია:

3.2.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გადაუხადოს „დაცვას“დაცვის მომსახურების ღირებულება;

3.2.2. დაიცვას დამონტაჟებული დაცვის ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის წესები;

3.2.3. არ დაუშვას ,,ობიექტის“ დაცვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაცვის ტექნიკური საშუალებების გადაკეთება ან შეკეთება ,,დაცვის'' წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,დაცვა'' არ აგებს პასუხს ,,დამკვეთის'' თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და მისგან გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზიანზე;

3.2.4. ,,ობიექტის'' დაცვაში მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს არანაკლებ 3 (სამი) პასუხისმგებელი (ნდობით აღჭურვილი) პირი და გადასცეს მას დაცვის ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.5. ,,განგაშის“ შემთხვევაში ,,დაცვას” მისცეს ,,ობიექტის” გახსნისა და დათვალიერების საშუალება;
3.2.6. უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;
3.2.7. დაცვის ტექნიკური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ,,დაცვას”, დაელოდოს მისი წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;
3.2.8. ,,ობიექტის“ დაცვითი მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,დაცვა“ იხსნის პასუხისმგებლობას დამკვეთის წინაშე ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებაზე;
3.2.9. მონტაჟის ხელშეკრულების საფუძველზე, დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, 1600 (ათას ექვსასი) ლარამდე ღირებულების ხელშეკრულებაზე თანდართული **ინვოისი N1685 და N1687-ით** (შემდგომში - დანართი N1) განსაზღვრული აპარატურის (რომელიც წარმოადგენს ,,დაცვის'' საკუთრებას და დაცვის განხორციელების მიზნით გადაცემულია ,,დამკვეთისთვის“ დროებით სარგებლობაში) დაზიანებისას ან დაკარგვისას, აგრეთვე დაცვის მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტიდან ან ძალადაკარგულად გამოცხადებიდან 5 სამუშაო დღეში ,,დაცვისთვის“ დაუბრუნებლობის (აპარატურის დემონტაჟს უზრუნველყოს ,,დაცვა“) შემთხვევაში, 5 სამუშაო დღის განმავლობაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, ხელშეკრულების N1 დანართით განსაზღვრული ღირებულების შესაბამისად;
3.2.10. მხოლოდ დაცვასთან შეთანხმებით გადასცეს პასუხისმგებელ (ნდობით აღჭურვილ) პირს ,,ობიექტზე'' შესვლის, დაცვის ტექნიკური საშუალებებით სარგებლობისა და ამ მუხლის 3.2.5, 3.2.6, 3.2.7, 3.2.8 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უფლება;
3.2.11. უზრუნველყოს ხელშეკრულების N2 დანართით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
3.2.12. რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები, ელექტრონული მისამართი) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ,,დაცვას";
3.2.13. ,,განგაშის" ან ტექნიკური ხარვეზის მიზეზების დადგენისა და ,,ობიექტის'' გახსნის მიზნით, თვითონ ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი გამოცხადდეს ,,ობიექტზე'', ,,დაცვის'' უფლებამოსილი დანაყოფისგან ან პირისგან შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 12 საათისა. ,,დამკვეთის'' მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,დაცვა'' იხსნის პასუხისმგებლობას დამკვეთის წინაშე ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებაზე და უფლებამოსილია დატოვოს „ობიექტი“ აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ;
3.2.14. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე არ შეწყვიტოს ხელშეკრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ,,დაცვას“ გადაუხადოს პირგასამტეხლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით;
3.2.15. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის, შეწყვეტის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, დაუბრუნოს ,,დაცვას'' ხელშეკრულების N1 დანართით განსაზღვრული აპარატურა, ხოლო აპარატურის შემოწმებისა და დემონტაჟის მიზნით, უზრუნველყოს ,,დაცვის'' წარმომადგენლების დაშვება ობიექტზე;
3.2.16. უზრუნველყოს „ობიექტზე“ „დაცვის“ მიერ განთავსებული დეტექტორები იყოს ხილულ მდგომარეობაში და არ ხდებოდეს მისი დაფარვა რაიმე საგნით, რაც გამორიცხავს ან/და შეაფერხებს დეტექტორის გამართულად ფუნქციონირებას და რეაგირებას.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ფორს-მაჟორში იგულისხმება სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ბლოკადა, აჯანყება, სახელმწიფოს მიერ მიღებული შემზღუდავი/ამკრძალავი სამართლებრივი აქტიები ან/და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც: ა) არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია; ბ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვნად შესრულებაზე; გ) არ არის გამოწვეული ან/და დაკავშირებული მხარეთა შეცდომებთან, დაუდევრობასა თუ გულგრილობასთან; დ) დაიწყო ან განვითარდა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და რომელთა წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ. ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესალოა განხილულ იქნას როგორც ფორს-მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას;
4.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება (ფორს-მაჟორი);
4.3 მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება არა აქვს მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზზე;

4.4 დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილ ხელშემშლელ გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები;
4.5 მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის წერილობითი დადასტურება, რომელიც გაცემული იქნება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.2 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან შეწყდეს 2019 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული N3395460 **სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი**“-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს N1 და N2 დანართები და მხარეთა შორის გაფორმებული მონტაჟის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამონტაჟო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი;
6.2. მონტაჟის ხელშეკრულების საფუძველზე, დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, ,,დაცვის“ მიერ ხელშეკრულების N1 დანართით განსაზღვრული აპარატურა მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, დამონტაჟებულია ,,დამკვეთის” ობიექტზე დროებითი სარგებლობის პირობით;
6.3. ,,დაცვა” იხსნის პასუხისმგებლობას დამკვეთის წინაშე ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებაზე, თუ ,,დამკვეთი” არ განახორციელებს მოკვლევის აქტში ,,დაცვის” მიერ მითითებულ რეკომენდაციებს და ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით ნაკისრ ვალდებულებებს;
6.4. მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაზედაც მხარეები ხუთი დღით ადრე წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
6.5. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 პუქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ,,დაცვა“ უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,დამკვეთს“ პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით, ხოლო პირგასამტეხლოს ოდენობის შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, ,,დაცვა“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
6.6. ,,დაცვა” უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვის მომსახურების ტარიფის ცვლილებების შესახებ, რომელიც წერილობით ეცნობება ,,დამკვეთს” ერთი თვით ადრე; ამ ვადაში მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დაცვა უფლებამოსილია ამ მუხლის 6.4. პუნქტის მოთხოვნათა დაცვით შეწყვიტოს ხელშეკრულება;
6.7. ,,დაცვა” ობიექტის დაცვის მომსახურების შეწყვეტიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელებს ხელშეკრულების N 1 დანართით განსაზღვრული აპარატურის შემოწმებას და დემონტაჟს;
6.8. ,,დამკვეთის'' მოთხოვნის შემთხვევაში, დაცვა ვალდებულია გასცეს დამკვეთზე დამატებითი ერთჯერადი ოთხნიშნა კოდი (შემდგომში - კოდი);
6.9. დამკვეთის მიერ კოდის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ობიექტზე მართლსაწინააღმდეგო შეღწევა ან შეღწევის მცდელობა ხორციელდება დამკვეთზე ან მის უფლებამოსილ პირზე მათი სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისათვის საშიში რეალური მუქარის საფუძველზე;
6.10. კოდის გამოყენების შემთხვევაში, იგი უქმდება და მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ახალი კოდი;
6.11. კოდის გაცემის ღირებულებაა 20 (ოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, რომელსაც დამკვეთი იხდის სააბონენტო გადასახადთან ერთად, ოთხნიშნა კოდის გადაცემისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
6.12. საჭიროების შემთხვევაში ,,დამკვეთი'' უფლებამოსილია ობიექტის გახსნის მიზნით, ობიექტის გასაღების დუბლიკატი შესაბამის კოდთან ერთად, მიღება-ჩაბარების აქტით გადასცეს ,,დაცვას'';
6.13. მხარეები თანხმდებიან, რომ ,,დაცვის'' მიერ გასაღები გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიგნალ ,,განგაშის'' შემოსვლისას ვერ ხერხდება ,,დამკვეთთან'' ან მისი ნდობით აღჭურვილ პირთან დაკავშირება;
6.14. ,,დამკვეთი'' აცხადებს წინასწარ თანხმობას, რომ ამ მუხლის 6.13 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გასაღების გამოყენება ჩაითვლება მართლზომიერ გამოყენებად და მას არ ექნება არანაირი პრეტენზია ,,დაცვის'' მიმართ;
6.15. ,,დამკვეთი'' უფლებამოსილია დროებით არ ისარგებლოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით (შემდგომში ,,ხელშეკრულების პასიურ მოქმედება''), რაც გულისხმობს, ,,დამკვეთის'' წერილობითი მომართვის საფუძველზე, ,,ობიექტის'' დროებით პულტიდან გათიშვას;
6.16. ამ მუხლის 6.15 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე, აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს ,,დაცვას";
6.17. ,,დაცვა'' ვალდებულია, ამ მუხლის 6.16 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მომართვიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 5 დღის ვადაში, დროებით შეაჩეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

6.18. ,,ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' შეწყვეტის შემთხვევაში, ,,დამკვეთი" ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე, აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს ,,დაცვას";
6.19. ,,დაცვა" ვალდებულია ამ მუხლის 6.18 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მომართვიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 2 დღის ვადაში, აამოქმედოს ობიექტის დაცვის მომსახურება;
6.20. ,,ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' პერიოდში, ,,დაცვის'' მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;
6.21. ,,ხელშეკრულების პასიური მოქმედების'' მომსახურებაზე, ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
6.22. ხელშეკრულების ,,პასიური მოქმედების'' პერიოდში ,,ობიექტზე'' დამონტაჟებულ აპარატურაზე პასუხისმგებელია ,,დამკვეთი";
6.23. სადავო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო 30 დღის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;
6.24. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს;
6.25. დამკვეთის თანხმობის შემთხვევაში, ,,დაცვა'' უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტიდან პულტზე შემოსული ინფორმაციის (გახსნის, დაკეტვის და განგაშის) მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ,,დამკვეთისათვის'' მიწოდებას, ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ტელეფონის შემდეგ ნომერზე: 577392783-1674, 577392796-1238;
6.26. აღნიშნული მომსახურება ერთ ობიექტზე არაუმეტეს სამ სატელეფონო ნომერზე შეადგენს თვეში 1 (ერთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო შემდგომ ყოველ დამატებულ სატელეფონო ნომერზე შეადგენს თვეში 1 (ერთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;
6.27. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება ,,დამკვეთთან, ხოლო ერთი ,,დაცვასთან".

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,დაცვა'' **შსს სსიპ– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** ს/კ 211350928 ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N158 მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 707117293. **დეპარტამენტის თავმჯდომარის** **მოადგილე** **ზ. ქველაძე**	**,,დამკვეთი''** **სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი** ს/კ 249250821, ტელ: მის: ქ.თბილისი, მინდელის ქ #7 1674- 577392783, 1238-577392796. **დირექტორი** **გ. ბოკუჩავა**

ინვოისი # 1685

თარიღი: **17-07-2014**

მიმღების ბანკი_სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება_ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი_TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი_
საიდენტიფიკაციო კოდი 211350928

დამკვეთი: სსიპ სოხუმის ი.ვეკუას ფიზიკა ტექნიკის ინსტიტუტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 249250821

მისამართი: ქ. თბილისი, მინდელის ქ. N7.

723*	საკონტროლო პანელი	(Honeywell VISTA-10P)	კომპლექტი	1	218.5726	218.57

სულ **218.57**

ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით

ინვოისი # 1687

თარიღი: **17-07-2014**

დამკვეთი: სსიპ სოხუმის ი.ვეკუას ფიზიკა ტექნიკის ინსტიტუტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 249250821

მისამართი: ქ. თბილისი, მინდელის ქ. N7.

კოდი	**პროდუქცია**	**ტექ. მახასიათებელი**	**ერთეული**	**რაოდ.**	**ფასი**	**თანხა**
6473	რადიო მიმღებ-გადამცემის მოწყობილობა	მოდელი: PTC7750-F AES-IntelliNet	ცალი	1	46.7504	46.75
34986	რადიო მიმღებ-გადამცემი 7058-EP	AES-Intellinet 4986	კომპლექტი	1	673.1983	673.20
4060*	ტრანსფორმატორი 2,7 ა/სთ	დენის ტრანსფორმატორი 220ვ - 16.5ვ. არანაკლებ 2.7A	ცალი	1	25.6532	25.65

სულ **745.60**

ფასები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით